უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №15

ქ. თბილისი 16.09.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
დავით ბედოშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიწადმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი;
ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
თამარ იოსელიანი - სსიპ - საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი.

საბჭოს მოწვეული წევრები:

ივანე ჩხაიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, პედიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, მედიცინის დოქტორი;
კახაბერ ჭელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, შინაგან დაავადებათა N1 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი;
დავით გაგუა - შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, შპს დავით გაგუას კლინიკის გენერალური დირექტორი, მედიცინის დოქტორი;
დიმიტრი კორძაია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ადამიანის ნორმალური ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი;
თამარ კეზელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი;

ზურაბ ფაღავა - ,,შპს სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრის" კარდიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი;
ნინო შარაშიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის თერაპიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, შპს ,,კლინიკური კარდიოლოგიის ინსტიტუტისა" და შპს ,,სამედიცინო ცენტრ ციტოს" ექიმი-კარდიოლოგი, მედიცინის დოქტორი;
პაატა ბუკია - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის უფროსი;
გიორგი ხუფენია - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული მზადების სამმართველოს უფროსი;
პაატა იმნაძე - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე;
თამარ გვასალია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ფოფხაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
გიორგი მუნჯიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. **შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი:**
სოფიო სუხიშვილი - რექტორი;
ივანე ბალახაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. **შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი:**
მამუკა თავხელიძე- რექტორი;
გულნაზ გალდავა - რექტორის მოადგილე, სამართლის სკოლის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
მოგელი შენგელია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დირექტორი;
ანა ფირცხალაშვილი - საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი;
ამირან მესხიშვილი - ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი;
მურთაზ კვირკვაია - ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი;
მერი ლომაია - სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის ცენტრის დირექტორი;
თამარ თავხელიძე - საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის დირექტორი;

ნანა ყუბანეიშვილი - ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი;
ქეთევან კუხიანიძე - ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე;
ანა თეგეთაშვილი - მედიცინის სკოლის დეკანი;
ვასილ კიკუტაძე - ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანის მოადგილე;
მერაბ ტურავა - სამართლის სკოლის პროფესორი;
ნინო წილოსანი - სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ია ფანცულაია;
მაია შიშნიაშვილი;
ქეთევან კანკავა;
ქეთევან აფთარაშვილი;
ლილი შატბერაშვილი;
ნათია ჭიღვარია;
ნაზი ფარსადანიშვილი;
ზურაბ ალხანიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:45 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 23-ე მუხლის 1[1] პუნქტის საფუძველზე სხდომას ესწრებოდნენ ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი და საბჭოს მოწვეული წევრების ¾. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ევროპეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წინაშე წარადგინა შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წერილობითი შუამდგომლობა ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადების თაობაზე. წარმოდგენილი წერილის თანახმად დაწესებულება ითხოვდა ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადებას საბჭოს შემდგომ სხდომამდე, დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის მიზნით.

ასევე, ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადების თაობაზე შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, სოფიო სუხიშვილმა. მისი განმარტებით, დაწესებულებას ესაჭიროებოდა დამატებითი დრო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახულ გარემოებებზე არგუმენტირებული პოზიციის მოსამზადებლად.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ შპს ევრორეგიონულ სასწავლო უნივერსიტეტსა და შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს ავტორიზაციის მოქმედი ვადა ეწურებოდათ მიმდინარე წლის 17 სექტემბერს. შესაბამისად, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, კერძოდ 2018 წლის 18 სექტემბრიდან ორივე დაწესებულება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კარგავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს. აქედან გამომდინარე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" და ,,გ" ქვეპუნქტების თანახმად, ზემოაღნიშნული ვადის დადგომის შემდეგ, დაწესებულება უფლებამოსილი არ იქნებოდა განეხორციელებინა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა, ასევე, სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში შეუჩერდებოდათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილი იქნებოდნენ, ესარგებლათ მობილობის უფლებით. ლაშა მარგიშვილის განმარტებით, აღნიშნულის თაობაზე შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს ეცნობა ცენტრის 2018 წლის 14 სექტემბრის №1134628 წერილით.

შპს ევრორეგიონულ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა განმარტა, რომ ისინი იცნობდნენ მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებდნენ იმ შედეგებს, რაც მოჰყვებოდა დაწესებულებისთვის ავტორიზაციის ვადის გასვლას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის გასდიოდათ დაწესებულებებს ადმინისტრაციული წარმოების 180 დღიანი ვადა. ლაშა მარგიშვილის განმარტებით, შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების ვადა გადიოდა 2018 წლის 8 ოქტომბერს, ხოლო შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შემთხვევაში კი - 2018 წლის 24 ოქტომბერს.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობებს. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალი დღის წესრიგი.

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ზოგადი მიმოხილვა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა. მათი განმარტებით, უნივერსიტეტს ესაჭიროებოდა სტრატეგიული მიმართულებების უკეთ ჩამოყალიბება, მათ შორის ბათუმის წარმომადგენლობასთან მიმართებით. მათი განცხადებით, დაწესებულება ავითარებდა ხარისხის უზრუნველყოფის კულტურას, მაგრამ უნდა გაზრდილიყო ამ პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და უზრუნველყოფილიყო პროცესის გამჭვირვალობა. ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები უფრო მეტად უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს და უნდა გაზრდილიყო აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა მათ შემუშავებაში. ექსპერტების განცხადებით, დაწესებულებას ესაჭიროებოდა თავისი კვლევითი კულტურის გაძლიერება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტი ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს ძირითადი სასწავლო კორპუსისგან მოშორებული შენობების როლსა და უნივერსიტეტის პროფილზე;
- უნივერსიტეტმა უნდა წარმოადგინოს მისი შემდგომი განვითარების სანდო გეგმა. კერძოდ, სამედიცინო მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უნდა იყოს სტრატეგიული გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი;
- უნივერსიტეტმა ხარისხის უზრუნველყოფის, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესში უფრო მკაფიოდ უნდა ჩართოს ყველა სტრუქტურული ერთეული (მათ შორის ბათუმის წარმომადგენლობა);
- სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს განცალკევებულად თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისა და ადგილმდებარეობისათვის, შესაძლებლობისდაგვარად, მოქნილობის დარღვევის გარეშე, ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად;
- სტატისტიკური კვლევისას მონაცემთა მოგროვება და ანალიზი უფრო მკაცრად უნდა გაიმიჯნოს რეგიონულ და ადგილობრივ ერთეულებს შორის;
- უნივერსიტეტმა დაინტერესებულ მხარეთათვის გამჭვირვალობის გასაზრდელად უნდა წარმოადგინოს კვლევის შედეგები, შეფასებები და რეკომენდაციები;

- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მეტად თანამონაწილეობითი საგანმანათლებლო პროგრამების რეგულარული განახლების პოლიტიკა;
- აკადემიური პერსონალისათვის უნდა ჩატარდეს ტრენინგები, რათა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად შეიმუშავონ სასწავლო კურსების სილაბუსები, კერძოდ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით;
- უნივერსიტეტმა ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში უნდა განაახლოს სასწავლო მასალები;
- უნივერსიტეტმა, უნდა გააძლიეროს პერსონალის მართვის პროცესები ბათუმის წარმომადგენლობასთან მიმართებით;
- ბათუმის წარმომადგენლობა უნდა გაუთანაბრდეს თბილისის წარმომადგენლობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებზე ინფორმირებულობასთან მიმართებით;
- უნივერსიტეტმა უფრო მკაფიოდ უნდა განსაზღვროს კვლევითი პრიორიტეტები და მათი ხელშეწყობის პოლიტიკა;
- უნივერსიტეტმა უნდა გააფართოოს საერთაშორისო კავშირები (სულ მცირე რამდენიმე) კვლევით სფეროში;
- კვლევების პროდუქტიულობის შეფასების სისტემის დანერგვასთან ერთად, უნივერსიტეტმა ასევე, უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს კვლევის ხარისხის მონიტორინგისა და უზრუნველყოფის სისტემა;
- საერთაშორისო მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს მეტი და უკეთესი სწავლების ფორმატები, რაც იმავდროულად მიმართული უნდა იქნეს ამ მონაცემთა ბაზების მიმართ სტუდენტებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლებაზე;
- სასურველია, რომ IT-ს ინფრასტრუქტურა (კერძოდ, კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამები) განახლდეს ბათუმის კამპუსში.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებთან მიმართებით.

დაწესებულების რექტორის, მამუკა თავხელიძის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითად ახასიათებდა მისიას უნივერსიტეტის როლის გამოკვეთის თვალსაზრისით ქართული და მსოფლიო საზოგადოებრივი პროფილის ფორმირების პროცესში, თუმცა, იგი არ მოიცავდა საგანმანათლებლო პროგრამების საკითხებს. მისი განმარტებით, მისია უნდა ასახავდეს დაწესებულების არსებობისა და დანიშნულების „ფილოსოფიას" და არ უნდა იყოს დაყვანილი ცალკეული პროგრამებისა და კამპუსის საკითხებზე. შესაბამისად, დაწესებულება არ ეთანხმებოდა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებას და მიიჩნევდა, რომ მათ მიერ წარდგენილი დაწესებულების მისია სრულ შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან. სტრატეგიულ გეგმაში სამედიცინო პროგრამის გათვალისწინებასთან დაკავშირებით, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ სამედიცინო პროგრამის განხორციელების დაწყება ცალკეული თანამშრომლების ინიციატივა იყო და მან მხარდაჭერა ვერ ჰპოვა სტრატეგიული განვითარების შემუშავების ჯგუფის წევრებს შორის, შესაბამისად, აღნიშნული ინიციატივა არ იქნა შეტანილი დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ბათუმის წარმომადგენლობის საკითხით. მისი განცხადებით, ექსპერტთა მხრიდან დაწესებულების პრობლემების განხილვისას მათი მხრიდან არაერთხელ აღინიშნა ბათუმის საკითხი.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულების ბათუმის წარმომადგენლობა 4 წელია რაც ფუნქციონირებდა და ხაზგასასმელი იყო მისი ინფრასტრუქტურა, რომელიც, მათი შეფასებით, სრულად აკმაყოფილებდა მოთხოვნილ სტანდარტებს. წარმომადგენლობას ჰქონდა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, რომელსაც თბილისიდან ჩასული აკადემიური პერსონალიც იყენებდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების მხრიდან ბათუმის წარმომადგენლობის გახსნის მიზეზით. მამუკა თავხელიძის განცხადებით, ბათუმის წარმომადგენლობის გახსნის იდეა აკადემიურ პერსონალს გაუჩნდა. ამასთან, ერთ-ერთი მიზეზი აჭარის რეგიონიდან სტუდენტთა დიდი რაოდენობა იყო. დაწესებულების მხრიდან ჩატარდა კვლევა, თუ რომელი საგანმანათლებლო პროგრამები იყო ყველაზე მოთხოვნადი აღნიშნულ რეგიონში. დაწესებულება ბათუმის წარმომადგენლობას არ განიხილავდა, როგორც ცალკეულ ერთეულს. რაც შეეხებოდა აკადემიური პერსონალის ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, მისი განმარტებით, პროგრამები, რომელიც ხორციელდება ბათუმის წარმომადგენლობაში, უკვე აკრედიტირებული იყო, შესაბამისად, ისინი უცვლელად განხორციელდა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ექსპერტთა რეკომენდაცია ეხებოდა არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, არამედ განვითარებაში ჩართულობას. დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულების ბათუმის წარმომადგენლობაში ადგილობრივი აკადემიური პერსონალის აყვანა დაიწყო გახსნიდან მე-3 წელს. მანამდე კი, საგანმანათლებლო პროგრამები მხოლოდ თბილისიდან ჩასული აკადემიური პერსონალის მეშვეობით ხორციელდებოდა. ასევე, მნიშვნელოვანი იყო, რომ დაწესებულებამ დაიწყო ადგილობრივი აკადემიური პერსონალის მომზადება, მაგალითისთვის, ამჟამად ბათუმის წარმომადგენლობას ჰყავდა 7 დოქტორანტი, რომლებიც სამომავლოდ ჩაერთვებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში.

რაც შეეხებოდა სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას, აღნიშნული მიმართულებით დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე ბათუმის წარმომადგენლობის 3 სტუდენტი იმყოფებოდა გაცვლითი პროგრამით პორტუგალიაში, ხოლო ზოგადი მონაცემებით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით, ყოველი მე-7 სტუდენტი სხვადასხვა აქტივობით ჩართული იყო საერთაშორისო საგანმანათლებლო აქტივობებში.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა ბათუმის წარმომადგენლობაში იურიდიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის საკითხით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ბათუმის წარმომადგენლობაში იურიდიული პროგრამების განხორციელებაში ჩართულია, როგორც ადგილობრივი, ასევე თბილისის აკადემიური პერსონალი.

საბჭოს წევრი, ნუგზარ სხირტლაძე, დაინტერესდა სტუდენტთა სწავლის შედეგების აპელაციის მექანიზმის საკითხით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში არსებობდა სტუდენტთა შედეგების აპელაციის მექანიზმი, რაც ექსპერტთა მხრიდან ვიზიტისას დადასტურდა.

კვლევით აქტივობასთან მიმართებით, დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულება არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას და მიიჩნევდა, რომ ექსპერტთა მხრიდან არ იქნა გათვალისწინებული ის მნიშვნელოვანი კვლევითი აქტივობები, რომელიც უნივერსიტეტს საავტორიზაციო პერიოდში ჰქონდა განხორციელებული. მისი განცხადებით, შეფასებისას უნდა გათვალისწინებულიყო კვლევითი აქტივობების სტატისტიკური მონაცემები. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგები გამოქვეყნდა 429 ადგილობრივ და 348 საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში, მომზადდა 802 სამეცნიერო მოხსენება და წარმოდგენილ იქნა 302 ადგილობრივ და 500 საერთაშორისო კონფერენციასა და ფორუმზე. ამასთანავე, აკადემიური პერსონალის ავტორობით გამოიცა 87 მონოგრაფია და სახელმძღვანელო, მომზადდა 52 საგრანტო პროექტი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რომელ საერთაშორისო ბაზებშია გამოქვეყნებული დაწესებულების აკადემიური პერსონალის ნაშრომები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აკადემიური პერსონალის ნაშრომები გამოქვეყნებული იყო European scientific journal, Scopus და ა.შ.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა დაწესებულების საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კვლევითი თანამშრომლობის საკითხით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება მუდმივად თანამშრომლობდა საქართველოში სხვა უნივერსიტეტებთან და ახორციელებდა საერთო პროექტებს. მაგალითად, ამჟამად დაწესებულებას ევროკავშირის პროექტის ფარგლებში შექმნილი ჰქონდა კონსორციუმი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 18:05 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს ჰქონდათ დისკუსია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნა, რომ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილებას დააფუძნებდა, როგორც ექსპერტთა შეფასებას, ისე ზეპირი განხილვის დროს გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

საბჭომ იმსჯელა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და განხილვის დროს გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებდა დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების პერსპექტივას. შესაბამისად, საბჭომ 1.2 კომპონენტი - სტრატეგიული განვითარება მეტწილად შესაბამისობაში მიიჩნია მოთხოვნებთან.

დაწესებულების კვლევით საქმიანობასთან მიმართებით, საბჭოს განცხადებით, ამ მიმართულებით დაწესებულება ახორციელებდა კვლევით საქმიანობას და უზრუნველყოფდა მის ინტერნაციონალიზაციას, რაც დასტურდებოდა დაწესებულების მიერ მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტებით. შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებით, 6.1 კომპონენტი - კვლევითი საქმიანობა საბჭომ მეტწილად შესაბამისად მიიჩნია სტანდარტთან. შესაბამისად, მე-6 სტანდარტი შეფასების სკალის მიხედვით შეფასდებოდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 3 920-ით (მათ შორის ქ. ბათუმში - 500 ადგილი) განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს (ს/კ: 200002120) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3 920-ით, მათ შორის ქ. ბათუმში - 500 ადგილი. დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 18:40 საათზე.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი